N 5566/1
14/05/2020

5566-1-2-202005141835

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

**ბატონო ლევან,**

მოგახსენებთ, რომ შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას" (შემდგომში-კომპანია) ხობის მუნიციპალიტეტის მოთხოვნით, დაგეგმილი აქვს **"ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელი ძველი ხიბულას წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის"** პროექტის განხორციელება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ტექნოლოგიური სამუშაოების ჩატარების შედეგად, სოფ. ძველი ხიბულას წყალმომარაგების მიზნით, წყალსადენის სათავე ნაგებობის მოწყობა გათვალისწინებულია ხობის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჭანისწყალის ტერასაზე, რომელიც საჭიროებს ნაგებობის ნაპირდამცავი სამუშაოების განხორციელებას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული პროექტი წარმოადგენს საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის მე-9 პუნქტის, 9.13 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურების გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად", სოფელი ძველი ხიბულას წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ნაპირდაცვის სამუშაოებთან" დაკავშირებით მომზადებულ იქნა სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

***დანართი:*** 1) სკრინინგის ანგარიში.
2) სიტუაციური ნახაზი.
3) პროექტის ელექტრონული ფაილი.
4) პროექტის განმარტებითი ბარათი.

ირაკლი ნაფეტვარიძე



საქართველო, ქ.თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge
76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში

ხელმძღვანელობა